



სოციალური დახვის სისტემის  
ძირითადი გემოვნებები სხვადასხვა  
დაუხველი ჯგუფებისათვის საქართველოში  
პოლიტიკის დოკუმენტი

2023

სოციალური დაცვის სისტემის  
ძირითადი გამონაკვეთები სხვადასხვა  
დაუცველი ჯგუფებისათვის საქართველოში  
პოლიტიკის დოკუმენტი

2023



„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა და თერთმეტ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), უფლებები საქართველო, „საფარი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), თანასწორობის მოძრაობა. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა. 2015 წელს, ახლადდაფუძნებულმა „კოალიციამ თანასწორობისთვის“ და საქართველოს სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| შესავალი . . . . .  | 4  |
| სოციალურ სახსოვრისაში მხსოვრები ბავშვიანი ოჯახების<br>სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი . . . . .            | 5  |
| რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა: . . . . .   | 6  |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ღაცვა . . . . .   | 10 |
| 2022 წლის ანგარიშის მიგნებებისა და რეკომენდაციების<br>მოკლე მიმოხილვა . . . . .                               | 11 |
| არსებული მდგომარეობისა და რეკომენდაციების<br>შესრულების ანალიზი . . . . .                                     | 12 |
| სოციალური პოლიტიკა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ღაცვებრებლად . . . . .   | 23 |
| კანონმდებლობა . . . . .   | 24 |
| აღსრულება . . . . .   | 27 |
| პრევენცია . . . . .   | 32 |
| სოციალური სერვისები . . . . .   | 33 |
| ინტერსექციულობა . . . . .   | 35 |
| ექთნების სავაშაო პირობები და სოციალური მარანტიები . . . . .   | 37 |
| რეკომენდაცია 1. დადგინდეს ექთნების შრომის ადეკვატური,<br>მინიმალური ხელფასის ოდენობა . . . . .                | 37 |
| რეკომენდაცია 4. სფეროს ექსპერტების ჩართულობით შემუშავდეს<br>და დაინერგოს ექთნების ატესტაციის მოდული . . . . . | 41 |
| ღებტი თვის სოციალურ უზღუბებზე ხელმისაწვდომობა . . . . .   | 42 |

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება კოალიცია თანასწორობის მიერ 2022 წელს მომზადებული კვლევის „სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაცული ჯგუფისთვის საქართველოში“<sup>1</sup> ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ხსენებული კვლევა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებული სოციალური დაცვის პროგრამებისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის კრიტიკაა ქ. თბილისის სოციალური საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ექთანი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ლგბტქი ადამიანების სოციალური დაცვის უფლების პერსპექტივიდან. კვლევის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი, ხოლო წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

დოკუმენტი ხუთი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველი თავი მიმოიხილავს ქ. თბილისის სოციალური საცხოვრისების ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელ პირობებს, არსებულ ფულად და არაფულად დახმარებებს და ამ საკითხებზე კოალიციის 2022 წლის ფარგლებში მომზადებული კვლევისთვის შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულებას. მეორე თავი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური პაკეტის კრიტიკულ ანალიზს. მესამე თავი აანალიზებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად არსებულ სოციალურ პოლიტიკას. მეოთხე თავი აფასებს ექთანი ქალების სამუშაო პირობებისა და სოციალური გარანტიების შესახებ კოალიციის 2022 წლის კვლევის შემდგომ დინამიკას. ბოლო, მეხუთე თავი ეთმობა ლგბტქი ადამიანების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობის საკითხს.

- 
1. სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაცული ჯგუფებისთვის საქართველოში - 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <http://www.equalitycoalition.ge/article/95> [ ბოლოს ნანახია 15.08.23]

## სოციალურ სახსოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი

2022 წელს კოალიციამ „თანასწორობისთვის“ მოამზადა კვლევა „სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაცული ჯგუფისთვის საქართველოში“<sup>2</sup>, რომელიც მიზნად ისახავდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ ადმინისტრირებული სოციალური დაცვის პროგრამებისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის შეფასებასა და მის კრიტიკას. მათ შორის, კვლევის ფარგლებში შეფასდა სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობა. იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მომზადდა რეკომენდაციების პაკეტი, რომლის მიზანიც იყო საკანონმდებლო ცვლილებების, პრაქტიკისა და სტანდარტების იმგვარი ცვლილება, რაც ხელს შეუწყობდა სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე დოკუმენტი აფასებს კოალიცია თანასწორობისთვის მომზადებული კვლევის „სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაცული ჯგუფისთვის საქართველოში“ ფარგლებში სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას.

---

2. სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაცული ჯგუფისთვის საქართველოში - 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <http://www.equalitycoalition.ge/article/95> [ ბოლოს ნანახია 15.08.23]

## რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა:

გემოხსენებული დოკუმენტის პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა საარსებო შემწეობის მიღების ადმინისტრაციული ვადების ცვლილებას. კვლევის მომენტისთვის, ოჯახებს საარსებო ენიშნებოდათ სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან ორი თვის შემდეგ. თუმცა, ეს რეკომენდაცია არ შესრულდა<sup>3</sup>. ამ დრომდე ოჯახს საარსებო შემწეობის მიღების უფლება ეძლევა სარეიტინგო ქულის მინიჭების თვიდან მეორე თვეს<sup>4</sup>. მსგავსად გაჭიანურებული ვადა კი ხშირ შემთხვევაში აუარესებს ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას. სამინისტროს განმარტებით, მომავალში იგეგმება მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გაციფრულება, რომლის ფარგლებშიც იგეგმება საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადის შემცირება, თუმცა დაკონკრეტებული არ არის, როდისთვის განხორციელდება აღნიშნული ცვლილება და რამდენად შეამცირებს პროგრამის გაციფრულება შემწეობის დანიშვნის პროცესს.

კვლევის ფარგლებში გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაციის (რეკომენდაცია 2) თანახმად, უნდა შეიცვალოს პრაქტიკა, რომელიც 16 წელს მიღწეულ ბავშვს გამორიცხავს საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვების კატეგორიიდან. რეკომენდაციის თანახმად, ასაკობრივი ზღვარი უნდა გაიზარდოს 18 წლამდე. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რეკომენდაცია არ შესრულდა<sup>5</sup>. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილის თანახმად, ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულაც 120001-ზე ნაკლებია, საარსებო შემწეობა განესაზღვრება 150 ლარით ოჯახის 16 წლამდე ასაკის წევრებზე და ეს ასაკობრივი ზღვარი კვლავ არ გაზრდილა 18 წლამდე.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 20 აპრილის წერილი
4. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილება ; მე-4 მუხლის მეორე ნაწილი.
5. იქვე.

ამასთანავე, არ შესრულებულა რეკომენდაცია, რომელიც ითხოვდა კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გავრცელებას ყველა თვეზე. ამ დრომდე, ქალაქ თბილისში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ოჯახები მხოლოდ დეკემბრის, იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის განმავლობაში სარგებლობენ კომუნალური გადასახადების სუბსიდირებით. ამგვარი სისტემა განსაკუთრებით ამძიმებს ისეთ სოციალური საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახების მდგომარეობას, სადაც ამ დრომდე არ მომხდარა გაზიფიცირება. ოჯახები იძულებულები არიან ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად – საკვების მოსამზადებლად და ოთახების გასათბობად გამოიყენონ ელექტროენერგია, რაც ზრდის მათ კომუნალურ ხარჯს.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაფინანსების ქვეშ არსებული უფასო სასადილო პროგრამა პრაქტიკაში არ იძლეოდა ერთიდან ექვს წლამდე ბავშვების პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობას. ქალაქ თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ამჟამად<sup>6</sup> 1 დან 6 წლამდე ბავშვები სარგებლობენ უფასო სასადილოების პროგრამით, თუმცა არ გვაქვს ინფორმაცია კონკრეტულად რა რაციონი დგება მცირეწლოვანი ბავშვებისათვის ან არის თუ არა მათი დღიური რაციონი განსხვავებული სხვა ბენეფიციარებისაგან. ასევე, შეესაბამება თუ არა ერთიდან ექვს წლამდე ბავშვების კვება მათ ნუტრიციულ საჭიროებებს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ არ მოგვანოდა ამომწურავი ინფორმაცია, რამდენად გაიზარდა არაფორმალური განათლების წრეების რაოდენობა და არის თუ არა ისინი გახსნილი სოციალურ საცხოვრისებთან ახლოს<sup>7</sup>. კვლევამ აჩვენა, რომ საცხოვრისში მცხოვრებ ბავშვებს, ხშირად ხელი არ მოუწვდებათ არაფორმალური განათლების პროგრამებზე, იმ მიზეზით, რომ მათი სიმცირისა და სიმო-

6.

7. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 10 აპრილის წერილი



რის გამო, ხშირად საჭიროა რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა, რაც ნაკლებად მისაწვდომს ხდის არაფორმალურ განათლებას.

რეკომენდაცია 6 – მიუთითებს სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით საყოველთაო დაზღვევის პროგრამის გადახედვას და მათ შორის, ბავშვების სტომატოლოგიური მომსახურებისა და მედიკამენტების წვდომის გაზრდას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოგვანოდა არასრული ინფორმაცია<sup>8</sup>. კერძოდ, მათი განმარტებით, სტომატოლოგიური მომსახურება ანესთეზიით, სრულად ფინანსდება ქვევითი გამოწვევების, შშმ სტატუსის მქონე პირებისთვის. თუმცა, მონოდებული ინფორმაცია არაფერს ამბობს სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები არა შშმ სტატუსის მქონე ბავშვების სტომატოლოგიური საჭიროებების დაფინანსებაზე.

უნდა აღინიშნოს დადებითი დინამიკა სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, გადაიხედა სოციალური დაცვის სისტემა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილებით, ოჯახს საარსებო შემწეობა უნარჩუნდება ოთხი წლის განმავლობაში, თუ ოჯახის შრომისუნარიანი პირი დასაქმდება საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიაზე, მისი უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამის შრომის ბაზარზე არსებულ ვაკანსიაზე ან თუ სოციალური დახმარების მოსარგებლედ დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში და მოახდენს დასაქმების ფორმალიზებას. ეს კვლევაში გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო.

კვლევის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაცია გულისხმობს სისტემის დანერგვას, რომელიც გაითვალისწინებს სოციალურ საცხოვრი-

8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 20 აპრილის წერილი

სებში მცხოვრები ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ავეჯის პერიოდულ განახლებას, თუმცა, რეკომენდაცია არ შესრულებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებ ოჯახებს, ერთჯერადად, საცხოვრისის სარგებლობის დაწყებისას უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო ნივთებით და ავეჯით, რომლებიც ცვეთის მიუხედავად განახლებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში სოციალურ საცხოვრისებში არ აქვთ პირველადი საჭიროების ნივთები და ავეჯი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციების შეფასების დოკუმენტზე მუშაობის პროცესში გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და ქალაქ თბილისის მერიისაგან. მოთხოვნის მიუხედავად, მათ არ მოგვანოდეს ამომწურავი ინფორმაცია დასმულ შეკითხვებზე, რაც ართულებს რეკომენდაციების შესრულების შეფასებას.

იქედან გამომდინარე, რომ რეკომენდაციები 2022 წლისათვის მომზადდა, ის დიდწილად შეიცავდა COVID-19 ით გამოწვეული სოციალური ზეგავლენის კვლევის მოთხოვნებს სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრებ ოჯახებში, შემდგომში კვლევის შედეგების შეფასებას და მასზე დაყრდნობით სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც გააუმჯობესებდა სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახების სოციალურ დაცვას. უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციების ამ ნაწილზე, არ გვაქვს ოფიციალური ინფორმაცია, შესაბამისად, ვერ ვახერხებთ მათ მონიტორინგს.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის ეფექტიანი და სისტემური პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, ისევე, როგორც მათი რეალური მხარდაჭერა, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში. სახელმწიფოს სოციალური დაცვის ჩარჩო კვლავ ფრაგმენტული და არაეფექტიანია, ხოლო სტრატეგიული ხედვა სისტემის რეფორმირებისა და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგების კუთხით ჯერ კიდევ არ არსებობს.

ერთიანი პოლიტიკისა და სისტემური ხედვის არარსებობის პარალელურად, უკიდურესად პრობლემურია შშმ პირთა მიმართ რეალობასთან მიახლოებული სტატისტიკური მონაცემების წარმოება, რაც პოლიტიკის ღონისძიებების ზეგავლენის შეფასების ადეკვატურ შესაძლებლობას სპობს. ამ დრომდე სახელმწიფო მხოლოდ სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობასთან დაკავშირებულ მონაცემებს ამუშავებს,<sup>9</sup> ხოლო სრულყოფილი სტატისტიკის წარმოების საკითხი კვლავ ღია საკითხად რჩება.

მოცემული თავის მიზანია, კიდევ ერთხელ შეეხოს შშმ პირების სოციალური დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – სოციალური პაკეტის უზრუნველყოფის საკითხს და შეაფასოს უკანასკნელი წლების პროგრესი და გამოწვევები.

---

9. იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სტატისტიკა: სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით; <https://bit.ly/3OR51ex>.

## 2022 წლის ანგარიშის მიგნებებისა და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა<sup>10</sup>

შშმ პირთა სოციალური დაცვის საკითხის კომპლექსურობის გათვალისწინებით, წინა ანგარიშმა ორი ძირითადი მიმართულება შეისწავლა: 1. შშმ პირთა სოციალური პაკეტი, მისი ადეკვატურობა და რელევანტურობა; 2. კოვიდ-19-ის პანდემიის დროს შშმ პირებისთვის განკუთვნილი გასაცემელი.

ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად შშმ პირთათვის სოციალური პაკეტის მექანიზმის მნიშვნელობისა, სერვისის შინაარსი და მისი გაცემის თავისებურებები პრობლემურია, რაც თემის წარმომადგენელთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ აუმჯობესებს და მათი სიღარიბის რისკებს ზრდის. გამონკვევებს შორის აღსანიშნავია ისეთი სისტემური საკითხები, როგორცაა, სოციალური პაკეტის მიმღებთა წრე, რომელიც არაერთ ადამიანს დახმარების მიღმა ტოვებს; სოციალური პაკეტით გათვალისწინებული მწირი დახმარება; ასევე, მხარდაჭერის მიმღებთა ინდივიდუალური საჭიროებების უგულვებელყოფა და ბლანკეტურად მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზების გათვალისწინება; სოციალური მუშაობის პრობლემები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ შშმ პირთა შეზღუდული წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე. გემოაღნიშნულ პრობლემებს თან ახლავს ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემის ფრაგმენტულობა როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე, რაც გამორიცხავს შშმ პირების ჯეროვან სოციალურ მხარდაჭერას. ხაზგასასმელია, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩავარდნის არაერთი საკითხი გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის დასკვნით რეკომენდაციებშიც მოხვდა.<sup>11</sup>

10. იხ. კოალიცია თანასწორობისათვის, სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფებისათვის საქართველოში, 2022, გვ. 32 – 46, 89 – 91.

11. იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding Observations on the Initial Report of Georgia, CRPD/C/GEO/CO/1, 2023, პარ. 55 – 56.

ანგარიშში ასევე პრობლემურად გამოიკვეთა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მთავრობის მიერ შშმ პირის სტატუსის მქონეთა მხოლოდ ნაწილობრივი (მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ ბავშვები) მოცვა, ხოლო თემის დიდი ნაწილის ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დატოვება, მხარდაჭერის ოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგიის არარსებობა, ასევე, შშმ პირთა, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჯეროვანი ინფორმირება პანდემიის დროს არსებული შეზღუდვებისა და დაწესებული ბენეფიტების შესახებ.

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ანგარიშმა 12 რეკომენდაცია გაითვალისწინა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, პოლიტიკური და საჯარო დღის წესრიგში შშმ პირთა სოციალური დაცვის პრიორიტეტად ქცევა, კანონმდებლობის ცვლილება და მასში სოციალური დაცვის უფლებასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების ასახვა, ხელისუფლების ორგანოებსა და დონეებს შორის ეფექტიანი კოორდინაცია, სოციალური პაკეტით გათვალისწინებული მხარდაჭერის გავრცელება შშმ სტატუსის მქონე ყველა პირზე და შესაბამისი ფულადი დახმარების განუწყვეტელი ზრდა, სამედიცინო პარადიგმიდან სოციალურ მოდელზე ტრანზიციის და ამ პროცესის ფარგლებში სოციალური პაკეტის საკანონმდებლო მოწესრიგების სრული ჰარმონიზაცია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის დანაწესებთან, სისტემური და ეფექტიანი საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, სისტემური კვლევების ჩატარება და შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების რეალური და ეფექტიანი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## არსებული მდგომარეობისა და რეკომენდაციების შესრულების ანალიზი

ისევე, როგორც წინა შეფასების დროს, 2023 წელსაც სოციალური პაკეტის უზრუნველყოფის სისტემის შინაარსი და მისი გაცემის საკით-

ბი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რაც თემის წარმომადგენლების რეალურ გაძლიერებასა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას მნიშვნელოვნად უშლის ხელს. უშუალოდ ამ მექანიზმთან დაკავშირებულ გამოწვევებს კიდევ უფრო პრობლემურს ხდის ისეთი საკითხები, როგორცაა, მაგალითად,

- შშმ პირთა სოციალური დაცვის საკითხის არაპრიორიტეტულობა პოლიტიკურ დღის წესრიგში – ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022 - 2030 წლებისთვის) შინაარსიც, რომელიც მხოლოდ ზოგადად საუბრობს სოციალური დაცვის საკითხზე („შემზადებული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა სოციალური და ეკონომიკური ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება)<sup>12</sup> და არ ითვალისწინებს სოციალური დაცვის არსებული მექანიზმების ცვლილებას. გემოლნიშნულის პარალელურად, ამ დრომდე არ არსებობს სოციალური დაცვის ზოგადი სისტემის რეფორმირების ხედვა და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი, რაც, ქვეყნის მთლიანი მოსახლეობისთვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის, გაითვალისწინებდა ჯეროვან და საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას;
- არსებული კანონმდებლობის პრობლემურობა, რაც, მათ შორის, გამოხატულია “შემზადებული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” საქართველოს კანონისა და სხვა რელევანტური საკანონმდებლო აქტების მიერ თემატური საერთაშორისო სტანდარტების შინაარსის გაუთვალისწინებლობაში;
- შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების

---

12. საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 23 მარტის N 2663-XIმს-XXმპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022 - 20230 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“.

ჩართულობის პრობლემები გადანყვეტილების მიღების დროს<sup>13</sup> – მიუხედავად იმისა, რომ არაერთი უწყების ფარგლებში არსებობს შშმ პირთა საკონსულტაციო მექანიზმები, ასევე, ფუნქციონირებს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი, კვლავ გამონწვევას წარმოადგენს თემის რეალური და აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა სოციალურ დაცვასთან, მათ შორის, სოციალურ პაკეტთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების დროს. ამ ნაწილში კიდევ უფრო პრობლემურია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების ჩართულობა, იმდენად, რამდენადაც ისინი ფორმალურადაც კი ვერ მონაწილეობენ უწყებათაშორისი პლატფორმების საქმიანობაში.<sup>14</sup>

► **სოციალური პაკეტით შშმ პირთა თემის მოცვის პრობლემები**

სოციალური პაკეტით უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მოცემული მხარდაჭერით მოსარგებლე ბენეფიციართა შეზღუდული წრეა. ეს გამომწვევა, ერთი მხრივ, შშმ პირისათვის სტატუსის მინიჭების მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზზე დაფუძნებული სისტემით, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული კანონმდებლობით მოცემული მექანიზმის მოქმედებიდან არაერთი ჯგუფის გამორიცხვით არის განპირობებული. სისტემიდან გარიყულთა შორის არიან ასაკობრივი პენსიის მიმღები შშმ პირები, ზომიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნაწილი (რომლებიც ბავშვობიდან არ არიან შშმ პირის სტატუსის მქონენი), ასევე ადამიანები, რომლებიც, სამედიცინო მოდელის გათვალისწინებით, სტატუსის მიღმა რჩებიან, მათ შორის, ბავშვები

- 
- 13. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, გვ. 248 – 249.
  - 14. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარიამ ჯანიაშვილი, „ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი შშმ თემის გამოცდილება - წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე“, 2022, გვ. 32 – 33; <https://bit.ly/3C9Mlis>.

(მაგ., აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე არასრულწლოვანები), რომელთათვისაც, მოქმედი კანონმდებლობით, არ ხდება შშმ პირის სტატუსის მინიჭება.

სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირთა რაოდენობამ 2023 წლის აპრილისათვის 126 439 ადამიანი შეადგინა. აქედან 14 217 - შშმ ბავშვია, 29 489 - მკვეთრად გამოხატული შშმ პირი, 72 357 - მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი, ხოლო 10 376 - ზომიერად გამოხატული შშმ პირი.<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, პირიქით, 2021 წელთან შედარებით, დახმარების მიმღებთა რაოდენობა 1 515 ადამიანით შემცირდა.

**ცხრილი N 1. სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირთა რაოდენობა წლების მიხედვით<sup>16</sup>**



15. იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სტატისტიკა: სოციალური პაკეტი, <https://bit.ly/3OR51ex>.
16. შენიშვნა: 2014 - 2022 წლების მონაცემები აღნიშნავს კონკრეტული წლის დეკემბრის თვეში სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირთა რაოდენობას, ხოლო 2023 წლის მონაცემი აღნიშნავს სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირთა რაოდენობას აპრილის თვის მდგომარეობით; იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სტატისტიკა: სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით; <https://bit.ly/3OR51ex>.



სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის<sup>17</sup> მხოლოდ 3.38%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებით, შშმ პირთა წილი, როგორც წესი, ქვეყნების საერთო პოპულაციის 11.8 % - 18 %-ს შორის მერყეობს.<sup>18</sup> აღნიშნული ციფრები მიუთითებს, რომ სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა, საშუალოდ, 3.5 - 5.3-ჯერ ჩამორჩება ქვეყანაში შშმ პირთა რეალურ რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, სოციალური პაკეტით თემის მწირი დაფარვის ინდიკატორია.

პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ მთავარ გზას შშმ პირთა შეფასებისა და მათ მიმართ პოლიტიკის სამედიცინოდან სოციალურ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პარადიგმაზე გადასვლა წარმოადგენს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინა ანგარიშის ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ ამ რეფორმის ჩატარება იყო, რომელიც, თავის მხრივ, სოციალური პაკეტის მექანიზმის რეფორმირების წინაპირობა გახდებოდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ჯერ კიდევ 9 წლის წინ რატიფიცირებისა, ქვეყანაში სოციალურ მოდელზე გადასვლის მიმართულებით ხელშესახები შედეგები ჯერ კიდევ არ არსებობს. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს 2023 წლის 1 იანვრამდე უნდა მოეხდინა

17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა 3 736 400 ადამიანს შეადგენს; იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: მოსახლეობა, <https://bit.ly/3OMZOUN>.

18. World Health Organization, World Report on Disability, 2011, გვ. 27.

„შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცება“.<sup>19</sup> სამინისტრომ ეს ვალდებულება ორი თვის დაგვიანებით, 2023 წლის 9 მარტს შეასრულა. კერძოდ, მინისტრის ბრძანებით, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა შევიდა ძალაში.<sup>20</sup>

სამოქმედო გეგმა 9 ძირითად ამოცანას ითვალისწინებს: 1. ბიოფსიქოსოციალური მოდელით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის ინსტიტუციური მექანიზმისა და შემთხვევის მართვის სისტემის შექმნა; 2. ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაფუძნებული შეფასების მეთოდოლოგიის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცება; 3. მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მომზადება/გადამზადება; 4. ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაფუძნებით შშმ პირი სტატუსის განსაზღვრის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსების და დაფინანსების წყაროს განსაზღვრა; 5. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის პროცესზე თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა და შშმ პირთა მონაწილეობის გაძლიერება; 6. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის სისტემის ადმინისტრირების და ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება შშმ პირთა უფლებებზე დაფუძნებით; 7. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის სისტემის საკანონმდებლო ბაზის განახლება; 8. შშმ პირთა და შშმ სტატუსის მადიებელი პირების

19. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მ. 37 (2) (ა).

20. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 9 მარტის N MOH 8 23 00000094 ბრძანება „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების 2023 - 2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ინფორმირება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის სისტემაში ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვისა და მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ; 9. ბიოფსიქოსოციალური შეფასების მონაცემების მიხედვით შშმ ბავშვების და სრულწლოვანი შშმ პირების სოციალური დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესება.

ამ უკანასკნელი ამოცანის ქვეშ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 2023 წლისთვის შშმ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური პაკეტის შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვას, მათ შორის, შესაბამისი პროფესიონალების აღჭურვას ცოდნითა და უნარებით, ხოლო 2024 წლისთვის დაგეგმილია შშმ ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური პაკეტის განფასება და საჭირო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვა. მეორე მხრივ, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საქმიანობას ზრდასრულ შშმ პირებთან მიმართებითაც - „ბფს მოდელის მიხედვით სრულწლოვანი შშმ პირების სოციალური პაკეტის შექმნა და განფასება, რომელიც მოიცავს ფულად კომპენსაციას, დამხმარე საშუალებებს და მხარდაჭერ მომსახურებებს“. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული აქტივობა 2025 წლის მარტამდე უნდა განხორციელდეს.

საყურადღებოა, რომ მოცემული სამოქმედო გეგმა ძირითადად ორიენტირებულია შესაბამისი ინსტიტუციური და საკანონმდებლო მექანიზმების ჩამოყალიბებაზე და არ საუბრობს სოციალურ მოდელზე პრაქტიკული გადასვლის შესაძლო თარიღზე. ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ცხადია, პირველ რიგში, არსებითია რელევანტური პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბება, თუმცა, სოციალურ მოდელზე გადასვლის თარიღის ბუნდოვანება შშმ პირთა რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას გაურკვეველი ვადით სდებს.

სოციალურ მოდელზე ტრანზიციასთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ რე-

კომენდაციად იმ საკანონმდებლო ბარიერების მოხსნა რჩება, რომლითაც შშმ პირთა ცალკეულ ჯგუფებს ერთმევათ შესაძლებლობა, მათი საჭიროებების მიუხედავად, მიიღონ სოციალური პაკეტი. 2022 წლის ანგარიში ორ ასეთ ჯგუფს – საჯარო სამსახურში დასაქმებულ ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატულ (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისა) შშმ პირებსა და ასაკობრივი პენსიის მიმღებ შშმ პირებს – გამოყოფდა და მთავრობას რეკომენდაციით მიმართავდა, სამედიცინოდან სოციალურ მოდელზე ტრანზიციამდე სოციალური პაკეტის არსებული მექანიზმით დაეფარა შშმ პირის სტატუსის მქონე ყველა პირი, მათ შორის, ზემოაღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლები.

ამ ნაწილში დადებითად უნდა აღინიშნოს 2022 წლის ივნისში განხორციელებული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, საჯარო საქმიანობის განხორციელების პროცესში შშმ პირებს აღარ უჩერდებათ სოციალური პაკეტის მიღების უფლება.<sup>21</sup> თუმცა, **შეორე მხრივ, პრობლემურია ასაკით პენსიის მიმღები შშმ პირების გამორიცხვა სოციალური პაკეტის მოქმედებიდან.** მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარდაჭერის მექანიზმები შინაარსობრივად და მიზნების მხრივ ერთმანეთისგან განსხვავდება, არსებული რეგულაციები ორმაგი მოწყვლადობის მქონე ამ ჯგუფისათვის ორივე სერვისის უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს.<sup>22</sup>

### ▶ **სოციალური პაკეტით გათვალისწინებული დახმარების სიმწირე**

გარდა სოციალური პაკეტის მექანიზმის ლიმიტირებული დაფარვისა, ერთ-ერთ გამონაკვეთს სოციალური პაკეტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების სიმწირე წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ

21. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 ივნისის N 310 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N 279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მ. 1.
22. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N 279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მ. 6 (1) (ბ).

შშმ პირთა დიდი ნაწილი საარსებო მინიმუმზე ნაკლებ ფინანსურ დახმარებას იღებს, 2022 წლის ანგარიშის ერთ-ერთ რეკომენდაციას სოციალურ მოდელზე ტრანზიციამდე სოციალური პაკეტის განუწყვეტელი ზრდა წარმოადგენდა, რათა შშმ პირებისათვის მინიმალურ დონეზე მაინც შექმნილიყო ცხოვრების ადეკვატური პირობები.

ამ მიმართულებით დადებითად უნდა აღინიშნოს შშმ პირთათვის სოციალური პაკეტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების ზრდის გადანაცვებები, რომელიც ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შევიდა და რომელიც სოციალური პაკეტის ყველა მიმღებს მიემართა.<sup>23</sup> ამასთან, ხაზგასასმელია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის დეკემბერში შესული ცვლილებები, რომელმაც გაითვალისწინა შშმ პირთათვის სოციალური პაკეტის მუდმივი ზრდის ვალდებულება. კერძოდ,

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირისა და შშმ ბავშვების სტატუსების მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალური პაკეტის საბაზისო ოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება ბოლო 6 კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის 80%-ისა და ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის ჯამით, თუმცა, არანაკლებ 25 ლარით;
- მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირის სტატუსის მქონეთათვის განკუთვნილი სოციალური პაკეტის საბაზისო ოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება ბოლო 12 თვის ინფლაციის მაჩვენებლით, თუმცა, არანაკლებ 20 ლარით.<sup>24</sup>


მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური პაკეტის მიმღებთა დიდი ნაწილი – 82 733 ადამიანი (სოციალური

23. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N 566 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N 279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მ. 1.

24. იხ. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მ. 12<sup>2</sup>.

პაკეტის მიმღებთა საერთო რაოდენობის 65.43 %), კერძოდ, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირები, **კვლავ საარსებო მინიმუმზე ნაკლებ სოციალურ მხარდაჭერას იღებენ**, რაც, ალტერნატიული შემოსავლის, მათ შორის, დასაქმების მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათ უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური მონყვლადობისათვის წირავს.

**ცხრილი N 2. სოციალური პაკეტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების ოდენობის მიმართება საარსებო მინიმუმთან<sup>25</sup>**



**ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა წვდომა სოციალურ პაკეტზე**

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე, მათ შორის, სოციალურ პაკეტზე, თემის სხვა წევრებთან შედარებით, კიდევ უფრო პრობლემურია. ამ ჯგუფის ორმაგი მონყვლადობის გათვალისწინებით, წინა ანგარიშის ერთ-ერთ

25. საარსებო მინიმუმის მაჩვენებელად აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2023 წლის აპრილისათვის გამოთვლილი მაჩვენებელი.

რეკომენდაციას წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან თემის მოცემული ნაწილის პრიორიტეტიზაცია, მათ წინაშე არსებული ბარიერების დეტალური შესწავლა და მასზე დაყრდნობით შესაბამისი მომსახურებების შეთავაზება, მათ შორის, ინფორმაციული ვაკუუმის აღმოფხვრა.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2022 წელს განხორციელებული კვლევის<sup>26</sup> შედეგად, ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი შშმ პირების მაგალითზე გამოიკვეთა, ცენტრალურ დონეზე არსებული ის სისტემური პრობლემები, რაც წლების მანძილზე არ აღმოფხვრილა და სახელმწიფოს მხრიდან სწრაფ და სისტემურ რეაგირებას საჭიროებს. სოციალური პაკეტით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ორი მსხვილი ხარვეზის გამოკვეთა არის შესაძლებელი:<sup>27</sup>

- *სახელმწიფოს ენის პოლიტიკა და ინფორმაციული ვაკუუმი* – სახელმწიფოში არსებული მიდგომები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის შეფასებისა და შშმ პირის სტატუსის მიღების ეტაპიდანვე გამორიცხავს მშობლიური ენის გამოყენებას. ენობრივი ბარიერის დაძლევის (მათ შორის, საჯარო ინფორმაციის/ოფიციალური კორესპონდენციის თარგმნისა და თარჯიმნის სერვისით უზრუნველყოფის) ვალდებულებას სახელმწიფო უგულებელყოფს და მთელი ტვირთი მთლიანად შშმ პირსა და მის ოჯახზე გადმოდის. ქართულ ენაზე კომუნიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებსა (მათ შორის, სოციალურ მუშაკებსა) და შშმ პირებს შორის კომუნიკაცია ქართულ-აზერბაიჯანულად ან რუსულ-აზერბაიჯანულად ოჯახის წევრების, ნათესავების, ნაც-

26. იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარიამ ჯანიშვილი, „ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი შშმ თემის გამოცდილება - წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე“, 2022, <https://bit.ly/3C9Mlis>.

27. იქვე.

ნობების ან/და მეზობლების დახმარებით, ხდება. შედეგად, საქართველოს მასშტაბით, ქვემო ქართლის რეგიონში შშმ პირთა გამოვლენა და სოციალური პაკეტით მოცვა ყველაზე დაბალია და 2022 წლის მონაცემებით, მთლიანი მოსახლეობის 2.42%-ს შეადგენს;<sup>28</sup>

- *სტატისტიკური მონაცემების არარსებობა* – სახელმწიფოს არ გააჩნია ინფორმაცია, თუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რამდენი შშმ პირი/სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირი ცხოვრობს საქართველოში, რაც, საბოლოოდ, ართულებს ამ სფეროში განხორციელებული პოლიტიკის და ღონისძიებების ზეგავლენის შეფასებას მოცემულ ჯგუფთან მიმართებით.

## სოციალური პოლიტიკა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად

საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა 2006 წლიდან დაიწყო, როდესაც პირველად მიიღეს სპეციალური კანონი და დაიწყეს სახელმწიფო თავშესაფრების გახსნა. მას შემდეგ არაერთი საკანონმდებლო რეფორმა გატარდა, გამკაცრდა სისხლის სამართლის პოლიტიკა, საზოგადოებაში გაიზარდა ცნობიერება და მუდმივად მზარდია პოლიციისადმი მიმართვიანობაც, თუმცა, სოციალური პოლიტიკა დღემდე რჩება ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ყველაზე სუსტ რგოლად.

---

28. იქვე, გვ. 25, 47.



## კანონმდებლობა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, „ძალადობის მსხვერპლი“ არის ქალი ან ოჯახის წევრი, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულბეღყოფით ან/და ფიზიკური ძალადობით, ფსიქოლოგიური ძალადობით, ეკონომიკური ძალადობით, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულბეღყოფილია.<sup>29</sup>

ამავე კანონით<sup>30</sup> განსაზღვრულია მსხვერპლთა სოციალური დაცვისა და დახმარების გარანტიები, რაც გულისხმობს ქვეყანაში თავშესაფრებისა და დღის ცენტრების არსებობას, რომლებსაც მსხვერპლთათვის იურიდიული და სამედიცინო დახმარების განწვევის გარდა, ასევე ევალებათ მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

კანონის 2022 წლის 22 დეკემბრამდე არსებული რედაქციით, მსხვერპლის სტატუსის და შესაბამისი სერვისების მიღება დაკავშირებული იყო გარკვეულ ფორმალურ პროცედურებთან, კერძოდ, მსხვერპლის სტატუსს განსაზღვრავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური (შემაკავებელი ორდერის გამოცემით), სასამართლო (დამცავი ორდერის გამოცემით) ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი. ეს გულისხმობდა გარკვეულ ვადებსა და ბიუროკრატიას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა მსხვერპლთათვის აუცილებელი სერვისების მიწოდებას. ხსენებული კანონის ცვლილების

29. მუხლი 4, პუნქტი „ვ“

30. კანონის VI თავი

შედეგად მოიხსნა ფორმალური ბარიერები და სერვისები უფრო ხელმისაწვდომი გახდა.

მნიშვნელოვანია კანონის ის დათქმაც, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისათვის სახელმწიფო, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ახორციელებს სოციალურ მომსახურებას, რაც მოიცავს: „ა) ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას, შესაბამის ანალიზს და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარებას; ბ) მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელებას; გ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მოძალადეთა რისკ-ჯგუფების გამოვლენას და მათთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობას; დ) დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობას; ე) დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას; ვ) მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების ხელშეწყობას“.<sup>31</sup>

2022 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“, რომლის მიხედვით „სახელმწიფო არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებით იღებს ზომებს გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ინკლუზიური და გენდერულად მგრძობიარე სერვისების დანერგვის, ამ პირთა განათლების, მათთვის საცხოვრისის ხელმისაწვდომობის, აღნიშნული პირების ეკონომიკური გაძლიერებისა და გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის სერვისებით უზრუნველყოფის მიმართულებით. იგი უზრუნველყოფს აგ-

31. კანონის მე-6 მუხლი.

რეთვე მოძალადეთა ქცევის კორექციისკენ მიმართული პროგრამების განვითარებას.“<sup>32</sup>

2023 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია“, სადაც აღნიშნულია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლი ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის სახელმწიფოს პროაქტიული მუშაობა, მათ შორის, ეკონომიკური ძალადობის აღმოსაფხვრელად ღონისძიებების განხორციელება, ძალადობის მსხვერპლთა მატერიალური კომპენსაციისა და შრომის ბაზარზე აქტიური მონაწილეობის წამახალი-სებელი მექანიზმების გაძლიერება, უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული მექანიზმების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.“<sup>33</sup>

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ატვირთულია „ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის“ სამუშაო ვერსიაც, რომელშიც ჩამოთვლილია ოჯახში, სკოლაში, ქუჩასა და საცხოვრებელ უბანში ძალადობის პრევენციისთვის საჭირო შესაძლო ღონისძიებები. ასევე, სტრატეგია ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის.<sup>34</sup>

32. საქართველოს პარლამენტის N2545-Xრს-Xმპ დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, 22.12.2022 წ. გვ. 11

33. საქართველოს პარლამენტის N2662-Xმს-Xმპ დადგენილება „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, 23.03.2023 წ. გვ. 25

34. <https://www.gov.ge/dzaladobis-prventsiis-strategia>

## აღსრულება

გემოხსენებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2023 წლის 9 ივნისს „საფარმა“ მიმართა ყველა გემოხსენებულ უწყებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, განსახილველი ნორმატიული აქტების აღსრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მთავრობის ადმინისტრაციას:

- რა სახის სპეციალური პროგრამები შემუშავდა მუნიციპალიტეტების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დასახმარებლად;
- რომელ მუნიციპალიტეტებშია ხელმისაწვდომი არსებული სპეციალური პროგრამები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად;
- დაინერგა თუ არა პირდაპირი ფინანსური დახმარებები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის;
- რა ოდენობის თანხით ეხმარება ბავშვებს სახელმწიფო;
- დაინერგა თუ არა პირდაპირი ფულადი დახმარებები დაუქონინებელი ქალებისათვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- ძალადობის მსხვერპლთა რამდენი თავშესაფარი ფუნქციონირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2023 წლის ივნისის მდგომარეობით;

- ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების რამდენი კრიზისული ცენტრი ფუნქციონირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2023 წლის ივნისის მდგომარეობით;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, რა სოციალური სერვისები არსებობს საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, რა სოციალური სერვისები არსებობს საქართველოში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციართათვის;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რამდენი სოციალური მუშაკი ახორციელებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2023 წლის ივნისის მდგომარეობით;
- 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოს რომელ რეგიონში რამდენი სოციალური მუშაკი (იგულისხმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მუშაკები) ახორციელებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მყოფი სოციალური მუშაკებიდან (იგულისხმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მუშაკები) რამდენი არის ოჯახში ძალადობაზე სპეციალიზებული;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, მოხდა თუ არა უშუალოდ ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკების დაქირავება;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, რა ფსიქო-სოციალურ სერვი-

- სებს სთავაზობს სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ყოფილ ბენეფიციარებს;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, შემუშავდა თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის საგანმანათლებლო პროგრამები;
  - 2023 წლის ივნისის მონაცემებით, შემუშავდა თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის პროფესიული პროგრამები;
  - 2023 წლის ივნისის მონაცემებით, შემუშავდა თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის დასაქმების პროგრამები;
  - 2023 წლის ივნისის მონაცემებით, ჩატარდა თუ არა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით;
  - 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, განხორციელდა თუ არა მონიტორინგი ასოციაცია „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელზე“;
  - ხორციელდება თუ არა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მუშაკების საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი და თუ კი, როგორ;
  - რა ტრენინგები/გადამზადება გაიარეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურმა მუშაკებმა 2021/2022 წელს;
  - 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, დაინერგა თუ არა უმცირესობათა წარმომადგენლობისათვის ინფორმაციის მიწოდება სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობაზე მათთვის გასაგებ ენაზე;
  - 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, დაინერგა თუ არა კონ-

კრეტული სოფლების დონეზე ადგილობრივი თემის საჭიროებებზე მორგებული სოციალური სერვისები;

- დღეის მდგომარეობით, არის თუ არა კონკრეტული სოციალური სერვისები ხელმისაწვდომი დაუქორწინებელი ქალებისთვის და თუ კი, რომელი სერვისები;
- დღეის მდგომარეობით, არის თუ არა კონკრეტული სოციალური სერვისები ხელმისაწვდომი ზრდასრული შვილების დედისათვის და თუ კი, რომელი სერვისები;
- ბავშვზე ზრუნვის რა სერვისებია ხელმისაწვდომი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის 2023 წლის ივნისის მონაცემებით;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, რა სოციალური სერვისები არსებობს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრებში ჩარიცხული ბენეფიციარებისთვის;
- 2022 წლის მონაცემებით, რა სოციალური სერვისები არსებობდა ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების ბენეფიციარებისთვის.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ბავშვზე ზრუნვის რა სერვისებია ხელმისაწვდომი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის 2023 წლის ივნისის მონაცემებით;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, რა სოციალური სერვისები არსებობს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრებში ჩარიცხული ბენეფიციარებისთვის;
- 2022 წლის მონაცემებით, რა სოციალური სერვისები არსებობდა ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების ბენეფიციარებისთვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, რა პრევენციული ზომები იწვევება ოჯახში ძალადობის გამოსავლენად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, შემუშავდა თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ;
- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, შემუშავდა თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის პროფესიული პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს:

- 2023 წლის ივნისის მონაცემებით, შემუშავდა თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის დასაქმების პროგრამები.

საქართველოს პროკურატურას:

- საზოგადოებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით წარმოებული ღონისძიებების შესახებ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.<sup>35</sup>

2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ უწყებას არ გაუცია საჯარო ინფორმაცია განსახილველ საკითხებზე, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა.

35. საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, 2023 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების, სქესობრივი დანაშაულებისა და ფემიციდის შესახებ. <https://pog.gov.ge/result/%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98>



## პრევენცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით<sup>36</sup>, ოჯახში ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვანი მექანიზმია შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების განახლებული დოკუმენტი (ოქმი). ასევე, „ელექტრონული ზედამხედველობის“ დანერგვა კონკრეტულ შემთხვევებში, რაც 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან მოქმედებს და აღნიშნულის გამოყენების შემთხვევაში, რეალურ დროში კონტროლდება მოძალადის მიერ მსხვერპლის სახლთან, სამსახურთან და სხვა ტერიტორიასთან. სამინისტრო პრევენციის მექანიზმად განიხილავს მის მიერ წარმოებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებსაც, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლების პროფესიულ გადამზადებას, ბავშვთა დაცვის დღეს ჩატარებულ ღონისძიებას სახელწოდებით „ნუ წაართმევ ბავშვობას“, საჯარო და კერძო სკოლებში თემატური პოსტერების განთავსებას, სამინისტროს სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112“-ის და საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლების მიერ რეგიონებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან გამართულ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას 2000000 აბონენტთან ბავშვობის ასაკში ქორწინების დანაშაულებრივი ხასიათისა და პოლიციისადმი მომართვის გზების შესახებ, სატელევიზიო გადაცემა „პოლიციის ფაილებში“ სერიის მომზადებას ქორწინების იძულების დანაშაულთან დაკავშირებით, ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების თემაზე ნახატების კონკურსით.

კვლევის მონაწილეები დადებითად აფასებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ საინფორმაციო კამპანიებს, თუმცა მიუთითებენ იმ საკითხებზეც, რომელიც ჯერ ისევ გამომწვევაა სამართალდამცავი სისტემისთვის. საუბარია, მათ შორის, შემაკავებელი ორდერის გამოცე-

36. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 26 ივნისის MIA 0 23 01821332 ნერილი.

მის პრაქტიკაზე. როგორც ბენეფიციარებმა აღნიშნეს, ფაქტობრივად, შსს-ს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განისაზღვრება შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ ივსება თანმხლები ოქმი, რომელიც განსაზღვრავს რისკებს. რაც შეეხება ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმს და მისი გამოყენებით მიღწეული შედეგებს: განსხვავებით შემაკავებელი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და სტატისტიკისგან, ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების შესახებ საჯარო ინფორმაციას და შესაბამის მონაცემებს შსს არ ათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.<sup>37</sup> კვლევის მონაწილე სოციალური მუშაკებისთვის განსაკუთრებით სენსიტიურია კრიზისული ცენტრების საკითხი. მათი აზრით, პრევენციის ეფექტური განხორციელებისათვის კრიზისული ცენტრების რაოდენობა მკვეთრად უნდა გაიზარდოს.

## სოციალური სერვისები

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ წინა წლებთან შედარებით სოციალური სერვისები არ არის გაუმჯობესებული და არასამთავრობო სექტორის მიერ გაწეული სერვისები არის უფრო მრავალფეროვანი, ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და საჭიროებაზე მორგებული, ვიდრე სახელმწიფო სერვისები.

კვლევაში მონაწილე სოციალური მუშაკები კვლავ აღნიშნავენ, რომ სერვისები, რომლებიც არსებობს, არის მცირე დროზე ორიენტირებული და [ძალადობის მსხვერპლები] დროის ამ მონაკვეთში ვერ ახერხებენ ისე გაძლიერებას, რომ მიეცეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად განაგრძონ ცხოვრება და მათი სოციალური ფუნქციონირება აღდგეს ბოლომდე, შესაბამისად, ისევ უბრუნდებიან ძველ პრობლემებს და ვერ

37. [https://info.police.ge/page?id=786&parent\\_id=102](https://info.police.ge/page?id=786&parent_id=102)

ხერხდება გრძელვადიან პერსპექტივაში მდგომარეობის გაუმჯობესება. კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ თავშესაფრით სარგებლობის მერე აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის გარკვეული ტიპის მხარდაჭერა: ბინის ქირით უზრუნველყოფა, საკვები პაკეტებით თუ სხვა. ისინი მიიჩნევენ, რომ გამართული სოციალური დახმარების პირობებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომლებიც უმეტესად ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო რჩებიან ძალადობრივ გარემოში, უფრო მეტად შეძლებენ სამართალდამცავი უწყებებისთვის დროულად მიმართვას და ძალადობრივი გარემოსთვის თავის დაღწევას.

საქართველოში თავშესაფრები მთავარი სოციალური დაცვის სისტემაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის, თუმცა, თავშესაფრებში მუდმივადაა ადგილების პრობლემა. განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონები, სადაც, ხშირად, რეგიონის მასშტაბით ერთი თავშესაფარია ლიმიტირებული ადგილებით და თუ მსხვერპლის განთავსება ვერ ხერხდება, იგი იძულებულია დათანხმდეს სხვა რეგიონის თავშესაფარში განთავსებას. ეს კი ხშირად ახლობელი ადამიანებისგან, სამუშაო ან სასწავლო დაწესებულებისგან შორს ყოფნას გულისხმობს, რაც დამატებითი სირთულეა ძალადობის მსხვერპლისთვის. კვლევაში მონაწილე სოციალური მუშაკები თვლიან, რომ აუცილებელია კვლევების განხორციელება ბენეფიციარების ჩართულობით, რათა კვლევაზე დაფუძნებით გამოაშკარავდეს, თუ რომელ სერვისებს სჭირდება გაუმჯობესება. კვლევაში მონაწილე ბენეფიციარების ნაწილმა თქვა, რომ კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ და მხოლოდ თავშესაფრების არსებობის შესახებ იციან.

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სერვისი, რაც მათ არ მიენიჭებათ, ბავშვზე ზრუნვის სერვისია: ისინი, ვინც თავშესაფარში მცირეწლოვან ბავშვთან ერთად ცხოვრობენ, ვერ ახერხებენ მუშაობის დაწყებას, რადგან ასეთ შემთხვევაში, თავშესაფარში ბავშვზე სხვა ვერავინ იზრუნებს. რესპონდენტებისთვის პრობლემურია

ისიც, რომ თავშესაფრის დატოვების შემდეგ წყდება ყველა მომსახურება, რომლითაც თავშესაფარში სარგებლობდნენ და, რომელიც, ხშირად თავშესაფრის დატოვების შემდეგაც სჭირდებათ. ბენეფიციარები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ფსიქოლოგის მომსახურების მნიშვნელობას და არარსებობას, რაც განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონებისთვის.

კვლევის ყველა მონაწილე თანხმდება, რომ პირდაპირი ფინანსური დახმარება არარსებული ან არასაკმარისია და ელემენტარულ საჭიროებებსაც ვერ ფარავს.

კვლევაში მონაწილეები ხაზს უსვამენ სოციალური მუშაკის განსაკუთრებულ როლს მსხვერპლთათვის სერვისების მიწოდებაში და მათი გადამზადების აუცილებლობას. აქცენტი გაკეთდა ასევე სახელმწიფო სოციალური მუშაკის გადატვირთულ გრაფიკზე, რაც ნეგატიურად აისახება მომსახურების ხარისხზე. სოციალური მუშაკი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოციალური დაცვის სისტემური პრობლემები განაპირობებს მათ მძიმე სამუშაო პირობებს და დაზიანებულ რეპუტაციას. არაერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ, მის შემთხვევაში, სახელმწიფო სერვისების მიღება დამოკიდებული იყო სოციალური მუშაკების პიროვნულ თვისებებსა და განწყობაზე, რის გამოც მათთან ურთიერთობისას არ არსებობდა ობიექტურობის განცდა.

## ინტერსექციულობა

სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მოქმედ სოციალურ სისტემაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა არ აქვთ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს. ამის ერთ-ერთი მიზეზია ინფორმაციის ნაკლებობა და არასწორი ინფორმაციის ქონა. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მრავალეთნიკური და გეოგრაფიული მონაცემებითაც მრავალფეროვანი ქვეყანაა, არ ხდება სოციალური სისტემის ადაპტირება: რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ინფორ-

მაცია არსებული სერვისების შესახებ უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ ტელევიზიით და ინტერნეტით, არამედ თემის დონეზეც, სპეციფიკური მიდგომით, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

ისინი ასევე ამბობენ, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა სერიოზული გამოწვევაა, ის, რაც ხელმისაწვდომია თბილისში, არ არსებობს რეგიონებში. ამასთან რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დიდია ინფორმაციული ასიმეტრიაც ქალაქად და სოფლად მცხოვრები მსხვერპლებისათვის. რეგიონებში ნაკლებია სატელევიზიო და ინტერნეტ დაფარვა.

კვლევის მონაწილე სოციალური მუშაკები ასევე აღნიშნავენ, რომ დაუქორწინებელი ქალებისთვის და ზრდასრული შვილების დედისთვის ბევრად უფრო შეზღუდულია სოციალური სერვისები, ვიდრე არასრულწლოვანი და მრავალშვილიანი ქალებისთვის და მართოხელა დედებისთვის.

საგულისხმოა, რომ კვლევაში მონაწილე ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დიდი ნაწილი თავს მართოხელა დედად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების დაბადების მონმობებში რეგისტრირებულია მამა. მას შემდეგ, რაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები თავს აღწევენ მოძალადე მეუღლეს და საცხოვრებელ ადგილს იცვლიან შვილებთან ერთად, მამები წყვეტენ შვილების მატერიალურ მხარდაჭერას, მართო დარჩენილ დედებს კი სახელმწიფო სოციალური სერვისები არ მიეწოდებათ. რესპონდენტი სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია, უშუალოდ ძალადობის მსხვერპლი შშმ პირებისთვის თუ არსებობს რაიმე სახის დღის ცენტრი. ანალოგიური ვითარებაა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოქალაქეების შემთხვევაში. ამას გარდა, რამდენიმე ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ ვერ შეძლო სოციალური სერვისების მიღება, ვინაიდან არ ჰქონდა რეგისტრირებული საცხოვრებელი მისამართი და ამ მიზეზით დაკარგა ბინის ქირის მიღების შესაძლებლობა მუნიციპალიტეტისგან.

## ექთნების სამუშაო პირობები და სოციალური გარანტიები

### რეკომენდაცია 1. დადგინდეს ექთნების შრომის ადეკვატური, მინიმალური ხელფასის ოდენობა

საქართველოს მთავრობის დადგენილების „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ ყველა კლინიკას დაეკისრა სამედიცინო პერსონალის (ექიმისა და ექთნის) შრომის მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ვალდებულება, რაც ექიმის შემთხვევაში განისაზღვრა – არანაკლებ 7 ლარისა საათში (თვეში საშუალოდ 1260 ლარი), ხოლო ექთნის შემთხვევაში – არანაკლებ 4.4 ლარისა საათში (თვეში საშუალოდ 792 ლარი).<sup>38</sup> შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2023 წლისთვის შრომის ანაზღაურების ზრდა შეეხო 9000-მდე ექიმსა და 8000-ზე მეტ ექთანს.<sup>39</sup> გარდა ამისა, სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ოდენობის ზრდა ეტაპობრივად გაგრძელდება და 2025 წლისთვის ექიმის საათობრივი ანაზღაურება – 9 ლარს, ხოლო ექთნის 5.6 ლარი გახდება.<sup>40</sup>

38. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #53 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, მე-20 მუხლის მე-5<sup>4</sup> ნაწილი.

39. [2023 წლის იანვრიდან ექიმებისა და ექთნებისთვის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დანესდება - ნახეთ. ცვლილებები \(primetime.ge\);](#)

40. [2023 წლის იანვრიდან ექიმებისა და ექთნებისთვის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დანესდება - ნახეთ. ცვლილებები \(primetime.ge\);](#)

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკების მიერ სამედიცინო პერსონალისათვის შრომის მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ვალდებულების შესრულებაზე ზედამხედველობას განახორციელებს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური.<sup>41</sup> დადგენილების თანახმად, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური ზედამხედველობას განახორციელებს, საჭიროებისამებრ ან/და შერჩევითი შემონმების გზით (სპეციალური ელექტრონული პროგრამის გამოყენებით ან/და მის გარეშე), მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ თითოეული მიმწოდებლისათვის.<sup>42</sup> გარდა ამისა, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საკითხებზე ზედამხედველობის მექანიზმები, შერჩევითი შემონმების მეთოდები და პროცედურები (მათ შორის, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით შემონმების პროცედურები) განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.<sup>43</sup> დადგენილების თანახმად, შრომის ანაზღაურების საკითხებზე ზედამხედველობის განხორციელებისას დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, შრომის ინსპექციის უფლებამოსილი პირის (შრომის ინსპექტორი) მიერ, შრომითი ნორმების დარღვევის თაობაზე დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.<sup>44</sup>

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ კლინიკებში სამედიცინო პერსონალისათვის შრომის მინიმალური საათობრივი ანაზღაურების განაკვეთის დადგენის თაობაზე დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ეს რეფორმა ვერ უზრუნველყოფს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიღმა არსებულ კლი-

41. იხ. სქოლიო 1. დანართი 1, მე-16<sup>1</sup> მუხლი.

42. იქვე.

43. იქვე.

44. იქვე.



ნიკებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის მინიმალური ანაზღაურების სტანდარტის გავრცელებას. გარდა ამისა, მინიმალური ანაზღაურების სტანდარტის მიღმა რჩებიან სანიტრები, რომლებიც ასევე რთულ სამუშაო პირობებში მუშაობენ.<sup>45</sup>

სახელმწიფოს მიერ სამედიცინო პერსონალისათვის დადგენილი შრომის მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ოდენობა კვლავ არ არის საკმარისი ბაზისური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ვერ აღწევს საცხოვრებელი ხელფასის ოდენობას, რაც დღეს-დღეობით საქართველოში 1770 ლარს უტოლდება.<sup>46</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ, სამედიცინო სექტორის დამსაქმებლებთან ერთად, მუდმივად იზრუნოს ექიმების, ექთნებისა და სხვა მედიცინის მუშაკების მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ტარიფების გადახედვაზე და მათი საცხოვრებელი ხელფასის ოდენობასთან დაახლოებაზე.<sup>47</sup>

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამსახურის მიერ 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით, განხორციელდა 265 კლინიკის ინსპექტირება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულთათვის (კერძოდ, ექიმი და ექთანნი) მინიმალურ საათობრივი შრომის ანაზღაურების აღსრულებაზე ზედამხედველობის მიზნით, რომლის შედეგად გამოვლინდა ექიმებისა და ექთნებისათვის დადგენილი მინიმალური საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრასთან დაკავშირებული დარღვევები. შედეგად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 8 კლინიკის მიმართ გამოიცა ადმინისტრაციული სა-

45. მედიცინის მშრომელების მინიმალური ხელფასის ზრდა პოზიტიურია, მაგრამ არასაკმარისი - ღირსეული შრომის პლატფორმა (shroma.ge)

46. [https://shroma.ge/living-wage/;](https://shroma.ge/living-wage/)

47. მედიცინის მშრომელების მინიმალური ხელფასის ზრდა პოზიტიურია, მაგრამ არასაკმარისი - ღირსეული შრომის პლატფორმა (shroma.ge)



მართალდარღვევის ოქმი, ხოლო, სახდელის სახედ გამოყენებული იყო გაფრთხილება.<sup>48</sup>

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 24 მარტიდან მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ელექტრონულმა პორტალმა (<https://minwage.moh.gov.ge/>) დაიწყო ფუნქციონირება, რომლის ტექნიკურ გამართულობაზე/დახვეწაზე სსიპ-ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა.<sup>49</sup> მოწოდებული ინფორმაციით, შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების – “საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ კლინიკებში დასაქმებულთა მინიმალური საათობრივი ანაზღაურების საკითხებზე ზედამხედველობის განხორციელების მეთოდებისა და პროცედურების და სპეციალური ელექტრონული პროგრამის დამტკიცების შესახებ” – პროექტი, რომლის დამტკიცებისთანავე სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ელექტრონული რეჟიმში განხორციელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ კლინიკებში დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვისა და გაცემული ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის კონტროლი.<sup>50</sup>

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა გააგრძელოს კლინიკების მიერ ვალდებულების შესრულების ეფექტური ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ანაზღაურების სტანდარტების პრაქტიკაში აღსრულება.

48. შრომის ინსპექციის სამსახურის 2023 წლის 5 მაისის #02300480869 წერილი.

49. იქვე.

50. იქვე.

## რეკომენდაცია 4. სფეროს ექსპერტების ჩართულობით შემუშავდეს და დაინერგოს ექთნების ატესტაციის მოდული

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტრო აქტიურად მუშაობს ექთნების/ბებიჩაქალების პროფესიული განვითარებისა და რეგულირების გაუმჯობესების მიზნით. მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 10 მარტს დამტკიცდა „ექთანთა და ბებიჩაქალთა პროფესიული განვითარებისა და რეგულირების ეროვნული საბჭოს“ შემადგენლობა და დებულება, რომელიც წარმოადგენს მთავარ მაკოორდინირებელ ორგანოს, ექთნების/ბებიჩაქალების პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით.<sup>51</sup>

მოწოდებული ინფორმაციით, საექთნო საქმის განვითარების განახლებული ჩარჩო მოიცავს ფუნდამენტურ ცვლილებებს, რომლებიც ეხმიანება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და გლობალურ საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის აღნიშნულ პროფესიაში საქმიანობის უფლების მოპოვებისთვის სერტიფიცირების ვალდებულებას.<sup>52</sup> საექთნო საბჭო მიმდინარე ეტაპზე მუშაობს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიმართულებით.<sup>53</sup>

მოწოდებული ინფორმაციით, სახელმწიფო მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ექთნების შრომის პირობების, უფლებებისა და სოციალური სერვისების გაუმჯობესების საკითხზე, რომელიც ასევე გათვალისწინებულია ექთნების პროფესიული გაძლიერებისა და პროფესიაში შესვლის მოტივაციის გაზრდის გრძელვადიან მიდგომებში.<sup>54</sup>

51. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 12 ივნისის პასუხი #MOH 22300611568.

52. იქვე.

53. იქვე.

54. იქვე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ დროულად უზრუნველყოს გაცემული რეკომენდაციის შესრულება და დაასრულოს ამ მიმართულებით დაწყებული პროცესები.

## ლგბტქი თემის სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობა

წინამდებარე თავი აფასებს კოალიცია „თანასწორობისთვის“ მიერ მომზადებული კვლევის „სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფებისთვის საქართველოში“<sup>55</sup> ფარგლებში ლგბტქი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. კვლევა შეისწავლის ლგბტქი თემის ხელმისაწვდომობას შრომაზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე და საცხოვრისზე ხელმისაწვდომობაზე. დოკუმენტი ფოკუს-ჯგუფებში თემის წევრების მიერ დასახელებული გამოწვევების შესაბამისად, შეიმუშავებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის რეკომენდაციებს.

### ► რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა:

**რეკომენდაცია 1.** შემუშავდეს გრძელვადიანი სტრატეგია საზოგადოებაში არსებული ჰომო/ბი/ტრანსფობიური დისკრიმინაციული განწყობების აღმოსაფხვრელად;

55. კვლევა ხელმისაწვდომია: [http://www.equalitycoalition.ge/files/shares/160x230mm\\_Pages.pdf](http://www.equalitycoalition.ge/files/shares/160x230mm_Pages.pdf)

**რეკომენდაცია 2.** შემუშავდეს ღგბტქი ადამიანების ეკონომიკური გაძლიერების გეგმა/სტრატეგია;

**რეკომენდაცია 3.** აისახოს სიძულვილის ენის, შევიწროებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები პროფესიულ ეთიკის კოდექსებში;

**რეკომენდაცია 4.** შემუშავდეს შესაბამისი ცნობიერების ამაღლების სტრატეგია აივ ინფექცია/შიდსის მიმართ სტიგმის აღმოფხვრის მიზნით;

**რეკომენდაცია 5.** შემუშავდეს თემის საჭიროებებზე მორგებული თავშესაფრების (საცხოვრისის) კონცეფცია.

სტატუსი: შეუსრულებელი

წინამდებარე რეკომენდაციების რელევანტურ პოლიტიკის დოკუმენტებში უფლებამოსილი უწყებების მიერ ღგბტქი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე მორგებული ცვლილებების/დამატებების შეტანას გულისხმობს. 2023 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)“ დაამტკიცა. ღგბტქი თემი, მათ შორის, ჰომო/ბი/ტრანსფობიის დაძლევა დოკუმენტის არც ერთ პრიორიტეტულ მიმართულებაში არ მოხვდა.

**რეკომენდაცია 5.** ტრანს სპეციფიკური ჯანდაცვის საკითხების შემუშავება (შეიქმნას ადამიანის თვითგამოხატვაზე დაფუძნებული გენდერის აღიარების სამართლებრივი მექანიზმი; შემუშავდეს ტრანსსპეციფიკური პროტოკოლები და გაიდლაინები)

სტატუსი: შეუსრულებელი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 4 ივლისის წერილის თანახმად, სამინისტროში არ ყოფილა შესული განსახილველად ხსენებული თემატიკის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული

რეკომენდაცია – გაიდლიანი და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი – პროტოკოლი. შესაბამისად, სამინისტროს „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკურ მდგომარეობათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს“ მიერ ვერ იქნებოდა მიღებული.

დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების მიუხედავად (ა. დ.-ს, ა. კ. და ნ.დ საქართველოს წინააღმდეგ),<sup>56</sup> სახელმწიფოს არ შეუმუშავებია ადამიანის თვითგამოხატვაზე დაფუძნებული გენდერის აღიარების სამართლებრივი მექანიზმი.

**რეკომენდაცია 6.** შრომითი უფლებები (შეიქმნას დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმები; გაძლიერდეს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად შრომის ინსპექციის მანდატი).

სტატუსი: შეუსრულებელი

შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და შრომის ინსპექციის მანდატის გასაძლიერებლად, ზოგადად, არ გატარებულა არსებითი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ 2021-2023 წლების საანგარიშო პერიოდში, შრომის ინსპექციაში სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე მხოლოდ ერთი განცხადება შევიდა. საქმისწარმოების ეტაპზე დისკრიმინაციის დადგენისთვის საჭირო საკანონმდებლო სტანდარტი არ იქნა დაკმაყოფილებული, თუმცა სამსახურის მიერ დამსაქმებლის მიმართ დადგინდა დარღვევა ანტიდისკრიმინაციული დებულებებისა და მისი პრაქტიკაში რეალიზების (მექანიზმი) შემუშავების თაობაზე.<sup>57</sup>

56. ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22:%5B%22001-221237%22%5D%7D>

57. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2023 წლის 30 ივნისის წერილი

**რეკომენდაცია 7.** ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება (მოხდეს აივ-დადებითი ადამიანებისთვის ჯანდაცვის კომპლექსური სერვისების მიწოდება; აღმოიფხვრას ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მი-ღების პროცესში არსებული სისტემური ბარიერები და გაფართოვდეს მათი მისაწვდომობა).

სტატუსი: შეუსრულებელი

წინამდებარე რეკომენდაციები გულისხმობდა ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას, თემის წევრებისა და სამიზნე პოპულაციების საჭიროე-ბების სრულფასოვან მოცვას. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულე-ბით ცვლილებები არ ყოფილა.

